შპს „ჯეოენტერპრაიზ“

ს/კ 404901077 ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, მარიჯანის ქ., N4, ბინა №2 ტელ- 577 55 88 44

„- 21-„- -ივნისი- - "2023 წ.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „ჯეო ენტერპრაიზ“-ს ქ.რუსთავში, მშვიდობის ქ. N12-ში, საკუთარ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 02.07.01.802) მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოს ეროვნული სააგენტოს 08/08/2022 N246/ს ბრძანებით მიღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. საწარმოში დამონტაჟებულია რკინის ჯართის გამოსადნობი ორი ინდუქციური ღუმელი და წარმოებს თუჯისა და ფოლადის სხმულების დამზადება. ობიექტმა მუშაობა დაიწყო 2022 წლის ოქტომბრიდან.

საწარმოს მენეჯმენტის მიერ დაგეგმილია არსებული ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, კერძოდ: არსებულ ინდუქციურ ღუმელებში რკინისა და ტიტანის ჯართისაგან ფეროტიტანის შენადნობის წარმოება. ასევე ფეროქრომის, ფერომოლიბდენის, ფეროვოლფრამისა და ფერონიობიუმის წარმოება ციცხვიღუმელში, ალუმინოთერმიის მეთოდით.

ალუმინოთერმიით მისაღები ფეროშენადნობების წარმოების ხაზის განთავსება დაგეგმილია არსებული საწარმოს სამხრეთ-დასავლეთით არსებულ სასაწყობე შენობაში, რომლის მშენებლობა მიმდინარეობს კომპანიის მიერ.

რადგან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, ამასთან მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტისა და მე-8 მუხლის შესაბამისად, შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში.

წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს, გთხოვთ განიხილოთ და მოგვცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი: სკოპინგის ანგარიში;
shp- ფაილები.

პატივისცემით,
ზ. მაღრაძე
დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„22“ 06 2023
№ 5807

Legal address: 4/2Marijani str. 0186, Tbilisi, Georgia
Tel: +995 577 558844, e-mail: info@geoenterprise.com.ge, Web: www.geoenterprise.com.ge